



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49221194

თარიღი:29/04/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 52

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“-ს შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა (თან ერთვის).
2. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციების შერულების სამოქმედო გეგმა

რეკომენდაცია N1	<p>მუნიციპალიტეტების აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა შეისწავლონ, ემყარება თუ არა ა(ა)იპ-ის შექმნა რეალურ საჭიროებებს და რამდენად არის ცალკე იურიდიული პირის დაფუძნება და ფუნქციონირება საუკეთესო ალტერნატივა მოსახლეობისთვის კონკრეტული სერვისების მისაწოდებლად. ასევე განიხილონ მსგავსი ფუნქციებისა და მიზნების მქონე იურიდიული პირების კონსოლიდაციის შესაძლებლობა. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონკრეტული პროგრამების მართვის სისტემის გაუმჯობესებას, მსგავსი ფუნქციების მქონე ორგანიზაციებში ერთიანი პოლიტიკის დანერგვას, იურიდიულ პირებს შორის ფინანსური რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობას</p>
დაგეგმილი აქტივობა	<p>აუდიტის ობიექტის მიერ დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული პრობლემის გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრას. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია განიხილავს მის მიერ დაფუძნებული თითოეული ა(ა)იპ-ის შექმნა ემყარება თუ არა რეალურ საჭიროებებს და არსებობს თუ არა მოსახლეობისთვის კონკრეტული მომსახურების მიწოდების უკეთესი ალტერნატივა. ასევე დაიწყება მსჯელობა მსგავსი ფუნქციებისა და მიზნების მქონე იურიდიული პირების კონსოლიდაციაზე ასეთის გამოვლენის შემთხვევაში</p>
მისაღწევი შედეგი	<p>საბოლოო შედეგი, რომელიც მიიღწევა ობიექტის მიერ გატარებული აქტივობების შედეგად და უზრუნველყოფს რეკომენდაციის შესრულებას. მოსახლეობისთვის კონკრეტული სერვისის მისაწოდებლად მოძიებული იქნას ყველაზე ეფექტური და რეალურ საჭიროებაზე გათვლილი მექანიზმი, რომლის მართვა იქნება უფრო მარტივი და გამოიწვევს ნაკლებ ადმინისტრაციულ ხარჯს.</p>
დაწყების თარიღი	2022 წლის 1 მაისი
დასრულების თარიღი	2022 წლის 31 ოქტომბერი
პასუხისმგებელი პირი	გრიგოლ ყურაშვილი - მერის მოადგილე
საკონტაქტო ინფორმაცია	595 95 96 22; greg77780@gmail.com
N1 დაგეგმილი შუალედური შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული თითოეული ა(ა)იპ-ის შექმნის და არსებობის აუცილებლობის განსაზღვრა.

N1 შუალედური შესრულების თარიღი	2022 წლის 31 ივლისი
N2 დაგეგმილი შუალედური შედეგი	მსგავსი ფუნქციების და მიზნების მქონე ა(ა)იპ-ების გამოვლენა-კონსოლიდაციის საკითხის შესწავლა
N2 შუალედური შესრულების თარიღი	2022 წლის 31 ოქტომბერი
რეკომენდაცია N2	მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა ა(ა)იპ-ების საქმიანობის დაგეგმვის და მართვის პროცესში იხელმძღვანელონ ხარჯთეფექტურობის პრინციპიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ თვითმმართველობა გადაწყვეტს დაფუძნებული იურიდიული პირების რეორგანიზაციას, მნიშვნელოვანია წინასწარ დაგეგმოს რეორგანიზაციის მიზნები/ამოცანები და უზრუნველყოს მათი შესრულება. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების მართვის ეფექტიანობას.
დაგეგმილი აქტივობა	ამ ეტაპისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში რეორგანიზაციის პროცესი არ იგეგმება. სამომავლოდ ზუსტად შემუშავებული იქნება რეორგანიზაციის გეგმა სადაც გაიწერება რეორგანიზაციის მიზნები და ამოცანები, ასევე გათვალისწინებული იქნება ხარჯთეფექტურობის დანერგვის პრინციპი.
მისაღწევი შედეგი	ადგილობრივი მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის მუნიციპალური სერვისების ეფექტიანი მიწოდება.
დაწყების თარიღი	2022 წლის 1 აგვისტო
დასრულების თარიღი	2022 წლის 31 დეკემბერი
პასუხისმგებელი პირი	მირანდა მამისეიშვილი - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსის ფუნქციების დროებით შემსრულებელი
საკონტაქტო ინფორმაცია	577 94 80 25 ; mirandamamiseishvili@gmail.com
N1 დაგეგმილი შუალედური შედეგი	ა(ა)იპ-ებში რეორგანიზაციის დაგეგმვის შემთხვევაში რეორგანიზაციის მიზნების და ამოცანების დასახვა და ზუსტი გეგმის შემოუშავება.
N1 შუალედური შესრულების თარიღი	2022 წლის 31 დეკემბერი
რეკომენდაცია N3	მუნიციპალიტეტების აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა შეისწავლონ მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკადრო პოლიტიკა, განახორციელონ ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა უფლებამოვალეობების და მათზე დახარჯული სახსრების ანალიზი, შეაფასონ იდენტური ფუნქციების

	<p>მქონე საშტატო ერთეულების არსებობის მიზანშეწონილობა და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ არსებული საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს ა(ა)იპ-ების ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებას.</p>
დაგეგმილი აქტივობა	<p>მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ თითოეულ ა(ა)იპ-ში მოსამსახურეთა თანამდებობის სამუშაო აღწერილობებსა და ფუნქცია - მოვალეობებს შესწავლა. ფუნქციების დუბლირების შემთხვევებში (ასეთის არსებობისას) მიღებული იქნება შესაბამისი ზომები. აღსანიშნავია ისიც, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ში საშტატო რიცხოვნობის დამტკიცების დროს ყოველთვის გაკეთებულია სათანადო გათვლები, სადაც დასაბუთებულია თითოეული დაქირავებულის საჭიროების შესახებ.</p>
მისაღწევი შედეგი	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებში ადამიანური რესურსების მართვის საკადრო პოლიტიკის ზედამხედველობა. იდენტური ფუნქციების მქონე საშტატო ერთეულების არსებობის მიზანშეწონილობა და საჭიროების შემთხვევაში არსებული საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია.</p>
დაწყების თარიღი	2022 წლის 1 მაისი
დასრულების თარიღი	2022 წლის 30 სექტემბერი
პასუხისმგებელი პირი	ფატი გაგოშიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
საკონტაქტო ინფორმაცია	595908944, fatigagoshidze@gmail.com
N 1 დაგეგმილი შუალედური შედეგი	იდენტური ფუნქციების მქონე საშტატო ერთეულების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში არსებული საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია
N1 შუალედური შესრულების თარიღი	2022 წლის 30 სექტემბერი
რეკომენდაცია №4	<p>მუნიციპალიტეტების აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა შეისწავლონ იმ ა(ა)იპ-ების საქმიანობა, რომლებსაც არ აქვთ სათანადო მატერიალური რესურსები ფუნქციების განსახორციელებლად და გაატარონ სათანადო ღონისძიებები. ასევე განიხილონ ა(ა)იპ-ებზე გადაცემული არაპროფილური და ისეთი ქონების მართვის საკითხი, რომელსაც იურიდიული პირები არ იყენებენ. მიზანშეწონილია, გამოუყენებელი ქონება თვითმმართველობამ დაიბრუნოს თავის ბალანსზე და მართვის საუკეთესო პრინციპებიდან გამომდინარე, გამოიყენოს ის მუნიციპალიტეტის მიზნების</p>

	შესაბამისად. აღნიშნული ხელს შეუწყობს ქონების ოპტიმალურად განკარგვას.
დაგეგმილი აქტივობა	მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისათვის გადაცემული ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე ზედამხედველობა.
მისაღწევი შედეგი	მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისათვის გადაცემული ქონების არამიზნობრივი გამოყენების ფაქტების გამოვლენა და ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი დაბრუნება მუნიციპალიტეტის ბალანსზე.
დაწყების თარიღი	2022 წელი 1 მაისი
დასრულების თარიღი	2022 წელის 31 ოქტომბერი
პასუხისმგებელი პირი	მარეხ კანკაძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი
საკონტაქტო ინფორმაცია	591059013, marexikankadze@gmail.com
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისათვის: „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“; „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“; „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“; „წყალტუბო არენა“; „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ გადაცემული ქონების მიზნობრივი გამოყენების შესწავლა.
შუალედური შესრულების თარიღი	2022 წლის 31 ივლისი
განხორციელებული/ განსახორციელებელი აქტივობები	მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისათვის: „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“; „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“; „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“; „წყალტუბო არენა“; „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ გადაცემული ქონების მიზნობრივი გამოყენების შესწავლა.
რეკომენდაცია №5	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა და აღმასრულებელმა ორგანოებმა შეისწავლონ და შეაფასონ ინფრასტრუქტურულ-კომუნალურ სფეროში მუნიციპალური სერვისების განხორციელების სხვადასხვა ალტერნატივა (მომსახურების შესყიდვა, სუბსიდირება) და განსაზღვრონ ოპტიმალური მიდგომა მომსახურების მისაღებად. მიზანშეწონილია, შერჩეული ფორმა დაფუძნებული იყოს საუკეთესო პრაქტიკაზე და მაქსიმალურად ითვალისწინებდეს სამუშაოს სპეციფიკას. აღნიშნული ხელს შეუწყობს ჯანსაღ კონკურენციას, პროცესის გამჭვირვალობას და ფინანსური რესურსების ეკონომიურ ხარჯვას.

დაგეგმილი აქტივობა	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს როგორი ტიპის მენეჯმენტს გამოიყენებს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად. მაგრამ აუცილებელია მიზნის მიღწევის საუკეთესო ალტერნატივის მოძებნა.
მისაღწევი შედეგი	არჩეული პოლიტიკა იყოს მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება
დაწყების თარიღი	2022 წელის 1 ივნისი
დასრულების თარიღი	2022 წელის 31 დეკემბერი
პასუხისმგებელი პირი	მალხაზ ჩხეიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი
საკონტაქტო ინფორმაცია	595 95 96 01, malkhazchkheidze@gmail.com
N1 დაგეგმილი შუალედური შედეგის	ინფრასტრუქტურულ-კომუნალურ სფეროში მუნიციპალური სერვისების განხორციელების (მომსახურების შესყიდვა, სუბსიდირება) სხვადასხვა ოპტიმალური მიდგომის განსაზღვრა მომსახურების მისაღებად.
N1 შუალედური შესრულების თარიღი	2022 წელის 1 სექტემბერი
N2 დაგეგმილი შუალედური შედეგი	შერჩეული ფორმა დაფუძნებული იყოს საუკეთესო პრაქტიკაზე და მაქსიმალურად ითვალისწინებდეს სამუშაოს სპეციფიკას აღნიშნული ხელს შეუწყობს ჯანსაღ კონკურენციას, პროცესის გამჭვირვალობას და ფინანსური რესურსების ეკონომიურ ხარჯვას.
N2 შუალედური შესრულების თარიღი	2022 წელის 31 დეკემბერი
განხორციელებული აქტივობები	სხვადასხვა მუნიციპალიტეტების საქმიანობების ანალიზი მსგავს საკითხებთან დაკავშირებით
რეკომენდაცია N ⁶	ა(ა)იპ-ების საქმიანობაზე კონტროლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია იურიდიული პირებისთვის ზუსტად განისაზღვროს დასახული მიზნები და შესასრულებელი ამოცანები, რათა გაზომვადი კრიტერიუმებით იყოს შესაძლებელი ა(ა)იპ-ის საქმიანობის შეფასება. ამასთანავე, ორგანიზაციების დაფინანსება უნდა ხორციელდებოდეს დასახული მიზნების შესაბამისად, შესრულებული გათვლების საფუძველზე. სათანადო კონტროლის სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებას და მუნიციპალური ფინანსების ეფექტიან ხარჯვას.

დაგეგმილი აქტივობა	აუდიტის ობიექტის მიერ დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული პრობლემის გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრას. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების კონტროლის არსებული სისტემის შეფასება. ა(ა)იპ-ებისთვის ზუსტად განისაზღვროს დასახული მიზნები და შესასრულებელი ამოცანები, რათა გაზომვადიკრიტერიუმებით იყოს შესაძლებელი მათი საქმიანობის შეფასება. მკაცრი კონტროლი დაწესდეს ა(ა)იპ-ების საქმიანობის წლიურ ანგარიშებზე და კიდევ ერთხელ შეფასდეს რამდენად ეფექტურად ასრულებს თითოეული მათგანი დაკისრებულ მოვალეობას.
მისაღწევი შედეგი	საბოლოო შედეგი, რომელიც მიიღწევა ობიექტის მიერ გატარებული აქტივობების შედეგად და უზრუნველყოფს რეკომენდაციის შესრულებას. ა(ა)იპ-ების საქმიანობაზე კონტროლის ეფექტიანად განხორციელება. მათი დაფინანსება დასახული მიზნების შესაბამისად და შესრულებული გათვლების საფუძველზე. მუნიციპალური ფინანსების ეფექტიანი ხარჯვა.
დაწყების თარიღი	2022 წლის 1 ივნისი
დასრულების თარიღი	2022 წლის 31 დეკემბერი
პასუხისმგებელი პირი	გრიგოლ ყურაშვილი - მერის მოადგილე
საკონტაქტო ინფორმაცია	595 95 96 22; greg77780@gmail.com
N1 დაგეგმილი შუალედური შედეგი	ა(ა)იპ-ების საქმიანობის კონტროლის სისტემის შეფასება და ხარვეზის აღმოფხვრა, იურიდიული პირების საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებისა და მუნიციპალური ფინანსების ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველსაყოფად.
N1 შუალედური შესრულების თარიღი	2022 წლის 31 აგვისტო
N2 დაგეგმილი შუალედური შედეგი	ა(ა)იპ-ების საქმიანობის შეფასებისთვის სათანადო ინდიკატორების დანერგვა-შემუშავება
N2 შუალედური შესრულების თარიღი	2022 წლის 31 დეკემბერი